

ანდრეი ვასილევი

დადყოფილები

პიესა ორ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

ოლგა - 42 წლის ქალი

ანა - მისი 46 წლის და

პირველი მოქმედება

ანას დიდი, მოვლილი, კარგად მოწყობილი ბინა ერთ-ერთ ძველ სახლში. გაჯის კედლები, მაღალი ჭერი, მუხის პარკეტი. ოჯახის რამდენიმე თაობა აღიზარდა ამ სახლში. ახლა აქ ანას ოჯახი ცხოვრობს. მოჩანს მისაღები, სამზარეულო და საძინებლის ნაწილი, საკუჭნაოში გამავალი კარი.

შემოდგომა. ადრიანი კვირა დღე. ანას ძინავს. ისმის ზარი კარებზე. ანა თავს წამოსწევს.

(პაუზა. ზარი.)

ანა: - ვინ არის? (ზარი. საათს დახედავს) ეშმაკსაც წაუღია ყველა... (ზარი. მწოლიარე) ეშმაკმა წაგიღოთ! ვინ არის? (ზარი. მწოლიარე) ვინ არის მანდ?!!

(ზარი წუთით დუმდება, ცოტა ხნის მერე ისევ გაისმის. ანა მტკიცედ დგება საწოლიდან, მიდის კართან, იხედება თვალის გასაჭვრეტში, წუთით ჩაფიქრდება, შემდეგ კარს აღებს. ზღურბლზე მისი უმცროსი და ოლგა დგას. მას სხვისი ნაქონი ლაბადა აცვია, რომლიდანაც გამოჩნდება სასაცილო, ფერადი მოჩითული კაბა. მარცხენა თვალთან სისხლჩაქცევა აქვს, თუმცა მას სრულიადაც არ ამახინჯებს. ის ჯერ კიდევ კარგად გამოიყურება, თუმცა მოუწესრიგებელმა ცხოვრებამ უკვე დაასვა დაღი. პაუზა.)

ოლგა: - გამარჯობა...

(პაუზა.)

ანა: - გამარჯობა.

(პაუზა.)

ოლგა: - გძინავს?

(პაუზა.)

ანა: - მძინავს, როგორც ხედავ.

(პაუზა.)

ოლგა: - კარგად გამოიყურები...

(პაუზა.)

ანა: - შენც.

(პაუზა.)

ოლგა: - შემომიშვებ?

(პაუზა.)

ანა: - რისთვის?

(პაუზა.)

ოლგა: - დასთან მოვედი...

(პაუზა.)

ანა: - შემოდი.

(პაუზა. ოლგა შემოდის.)

ანა: - ადრეა რაღაც...

ოლგა: - ვინც ადრე დგება, - ღმერთი წყალობს...

ანა: - რას წყალობს?

ოლგა: - იმას რომ...

ანა: - და შენ?

ოლგა: - მეც...

ანა: - რა შენც?

ოლგა: - მეც მწყალობს... მარტო ხარ?

(პაუზა.)

ანა: - მარტო.

ოლგა: - ის, შენი, სადაა?

ანა: - აგარაკზე წავიდა.

ოლგა: - შენ რატომღა არ წახვედი?..

ანა: - აგარაკი არ მიყვარს. ვერ ვიტან აგარაკს... კიდევ გაქვს კითხვები?

ოლგა: - არა. (პაუზა.) ნუ ბრაზობ...

ანა: - არ ვბრაზობ.

ოლგა: - ბრაზობ...

ანა: - დღეს კვირაა...

ოლგა: - მერე რა?

ანა: - ეს ერთადერთი დღეა, როცა გამოძინება შემიძლია.

ოლგა: - გაგაღვიძე?

ანა: - არა. ჯერ კიდევ მძინავს. მძინავს და სიზმარს ვხედავ, - ჩემთან სისხამ დილით მოდის ჩემი უმცროსი და, როგორც ყოველთვის ნასვამი, ძონძებში და თვალდაღურჯებული. მას ფული უნდა.

(პაუზა.)

ოლგა: - არა.

ანა: - რა არა?

ოლგა: - ნასვამი არ ვარ.

ანა: - ე. ი. მე ვარ ნასვამი.

ოლგა: - არც შენ ხარ ნასვამი.

ანა: - მაშ ვინ?

ოლგა: - რა?

ანა: - ვინ არის ნასვამი-მეთქი?

ოლგა: - არავინ. (პაუზა.) და მე ფული არ მჭირდება.

ანა: - აი თურმე რა.

ოლგა: - არა. არ მჭირდება.

ანა: - მაშ რა გინდა?

(პაუზა.)

ოლგა: - იქნებ ოთახში შევიდეთ? უხერხულია შემოსასვლელში ლაპარაკი.

ანა: - ვისთვისაა უხერხული?

ოლგა: - ჩვენთვის. (პაუზა.) შეიძლება გავიხადო?

(პაუზა.)

ანა: - გაიხადე.

(ოლგა იხდის ლაბადას და რჩება ველურად ფერადი კაბით.)

(პაუზა.)

ოლგა: - ჩალურჯება მეტყობა?

ანა: - გეტყობა.

ოლგა: - ეს დავეცი და...

ანა: - აჰა!

ოლგა: - არაუშავს. მალე გაივლის. მე ხომ აღარ ვსვამ.

ანა: - გუშინ უკანასკნელად დალიე?

ოლგა: - ჰო! არ გჯერა?

ანა: - არა. არ მჯერა.

(პაუზა.)

ოლგა: - და... ყავა გაქვს?

ანა: - შეიძლება მაქვს კიდევ.

ოლგა: - შეიძლება ერთი ფინჯანი?

ანა: - ყავა გიყვარს?

ოლგა: - ყოველთვის მიყვარდა. შენ უბრალოდ არ გახსოვს...

ანა: - არა. არ მახსოვს.

(პაუზა. მისაღებში შედიან.)

ოლგა: - კარგია აქ. სიმყუდროვეა... გახსოვს, - აი იქ იდგა ფეხმოტეხილი კომოდი.

ანა: - მანდ არ იდგა.

ოლგა: - მაშ სად?

ანა: - (მოპირდაპირე კუთხეს აჩვენებს) აგერ იქ იდგა.

(პაუზა. ოლგა ანას უყურებს.)

ოლგა: - კარგი. იქ იყოს. (პაუზა.) ჰო! ეხლა გამახსენდა! ის იქ იდგა! მართალი ხარ!...

ის იდგა...

ანა: - ეშმაკსაც წაუღია. (საათს დახედავს) შვიდი საათია...

ოლგა: - ნუ... მაპატიე...

ანა: - არა უშავს.

ოლგა: - საათი არ მაქვს...

ანა: - კარგი, არა უშავს! წავიდეთ. მეც დავლევ შენთან ერთად ყავას, მაინც ველარ დავიძინებ უკვე.

(სამზარეულოში გადიან. ანა ყავას ხარშავს.)

ოლგა: - აი ჩემი კუთხე... და აი დედაჩემის საათი...

(პაუზა.)

ანა: - აბა?

(პაუზა.)

ოლგა: - რა აბა?

(პაუზა.)

ანა: - შენ ხომ ყავის დასალევად არ მოსულხარ დილაადრიან?

ოლგა: - არა...

ანა: - მაშ?

ოლგა: - შენს სანახავად მოვედი.

ანა: - მოგენატრე?

ოლგა: - ჰო...

ანა: - მიდი, დალიე შენი ყავა. (ფინჯანს უდგამს წინ)

ოლგა: - (სვამს) საამურია... გახსოვს დედა ყოველთვის ასე ამბობდა, - საამურია... გთხოვ, ხელსახოცი მომაწოდე. მეშინია კაბა არ დავისვარო. ახალია, მაჩუქეს...

წარმოგიდგენია? კაცმა მაჩუქა...

ანა: - ალბათ მოიპარე.

ოლგა: - რატომ... არ ვიცი... ლამაზია?

ანა: - საშინელებაა!

(პაუზა.)

ოლგა: - შენ კი დაღლილი ჩანხარ...

ანა: - ახლახანს საწინააღმდეგოს ამბობდი.

ოლგა: - ასე მომეჩვენა. ახლა ვხედავ, - გამოღლილი ხარ. ასე არ შეიძლება.

ანა: - ჭკუის სასწავლებლად მოხვედი?

ოლგა: - რატომაც არა?

ანა: - საინტერესოა. - აბა, მიდი...

ოლგა: - შენ ჩემი და ხარ და ჩემთვის სულერთი არაა რა გემართება...

ანა: - და რა გემართება?

ოლგა: - თავს სულ არ უფრთხილდები, მთელ სახლს ეზიდები, სამ კაცს, - სულ თვითონ და თვითონ! შენი ქმარი თითხე არ აკარებს!..

ანა: - ყველას თავისი ერგება.

ოლგა: - ბიჭები უკვე დასაქორწინებლები არიან. დაქორწინებიან, აქ მოიყვანენ, მაშ სხვაგან სადღა და ისევ შენ მოგიჭერენ ჭანჭიკს!..

ანა: - რაღაც ვერ ვხვდები, შენ ეს რატომ გაღელვებს?

ოლგა: - და ხარ ჩემი...

ანა: - შენი და ვიყავი შარშანაც, შარშანწინაც, ხუთი წლის წინაც. ჯერ კიდევ დედაჩვენის სიცოცხლეში ქუდიც რომ შემოეგდოთ, მაინც არ შემოხვიდოდით აქ.

ოლგა: - მიჭირდა მასთან. მძიმე ხასიათი ქონდა...

ანა: - შენ - მსუბუქი.

ოლგა: - დიახ! შენ წარმოიდგინე მე მსუბუქი, ცეტი ხასიათი მქონდა... ეს მერე გამიფუჭდა გაუთავებელი ხეტიალის გამო!..

ანა: - აჰა, დაიწყო...

ოლგა: - დიდი ხნის წინათ დაიწყო.

ანა: - მცოდნოდა, არაფრით კარს არ გაგიღებდი...

ოლგა: - დიდი, დიდი ხნის წინათ!

ანა: - კვირას ძალლი აუშვიო.

ოლგა: - როგორ არ გრცხვენია?!

ანა: - მისმინე, ან მოკეტავ, ან...

ოლგა: - რა?

ანა: - წაეთრიე, ეშმაკამდე გზა გქონია! (პაუზა.) სახლიდან არავის გაუგდიხარ...

ოლგა: - გამაგდეს...

ანა: - ვინ?

ოლგა: - დედამ, მამამ, შენ...

ანა: - მე?

ოლგა: - ჰო, შენ. იმ სულელური სამთო ტექნიკუმის შემდეგ ერთი წლით სამუშაოდ წავედი, მხოლოდ ერთი წლით! როცა დავბრუნდი, აქ უკვე სოდომი იყო. იყავით შენ, შენი ქმარი, ჩვილი ბავშვი. და მე წასვლა მომიხდა.

ანა: - შენთვის უფრო ადვილი იყო, - შენ მარტო იყავი.

ოლგა: - მე ახლაც მარტო ვარ. მთელი ცხოვრება მარტო ვარ. აი უკვე ოცი წელია უცხოთა ჭერქვეშ დავეხეტები. მე ოცნებაც კი არ შემეძლო ოჯახზე, არსად შემეძლო ოჯახის გაჩენა.

ანა: - გინდა თქვა, რომ მე ვარ ამაში დამნაშავე?

ოლგა: - შენც. (პაუზა.) შენ და შენი ქმარი.

ანა: - რა შუაშია ჩემი ქმარი?

ოლგა: - ის ჩემი ქმარი უნდა გამხდარიყო.

ანა: - რა?

ოლგა: - მე მოვიყვანე ის სახლში. შენ კი მომპარე. მას მე ვუყვარდი. ჰო, შენ წარმოიდგინე, ვუყვარდი!

ანა: - აჰა! ამოღერღე, ამოღერღე...

ოლგა: - შენ ჩააფრინდი, ჩაიცვი გულამოჭრილი კაბა, ყურში ეჩურჩულეობდი. გგონია არ ვიცვი? ყველაფერი ვიცვი. უკვე ოცდახუთის იყავი, - ჩქარობდი.

(პაუზა.)

ანა: - მიდი, მიდი, ილაპარაკე, გისმენ.

ოლგა: - ის მშვიერი იყო, ის-ის იყო ჯარიდან განთავისუფლდა. შენ მას ყველაფერი ერთად მიეცი, მან ამოსუნთქვაც ვერ მოასწრო, რომ მამა გახდა. მე ფეხებზე გეკიდე! შენთვის ყოველთვის სულერთი ვიყავი!

(პაუზა.)

ანა: - ეშმაკმა უწყის ეს რა არის! მოხვედი დილიდს ექვსზე იმისთვის, რომ ნასვამმა დებოში მოაწყო!

ოლგა: - შვიდზე.

ანა: - რა?

ოლგა: - შვიდ საათზე.

(პაუზა.)

ანა: - გაეთრიე... ახლავე გაეთრიე ჩემი სახლიდან!

ოლგა: - ეს შენი სახლი არ არის.

ანა: - რა?.. ეს რა თქვი?!

ოლგა: - ეს შენი სახლი არ არის. მე გასაფრთხილებლად მოვედი.

(პაუზა.)

ანა: - რაზე?

ოლგა: - ხვალ დედას გარდაცვალებიდან ზუსტად ნახევარი წელი შესრულდება.

ანა: - მერე რა?

ოლგა: - ხვალიდან ამ სახლის ნახევარი კანონით მე მეკუთვნის. ეს ჩემი მემკვიდრეობაა.

(პაუზა.)

ანა: - შენ... შენ... გააფრინე?

ოლგა: - შეიძლება.

ანა: - და მერე ჩვენ?

ოლგა: - არ ვიცი.

ანა: - როგორ თუ არ იცი?!

ოლგა: - აი ასე, არ ვიცი და მორჩა! არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე!

ანა: - ეშმაკმა უწყის ეს რა არის!.. რას ჩმახავ?! ღმერთო... ეს ჩვენი სახლია... ჩვენ მივეჩვიეთ...

ოლგა: - გადაეჩვევით.

ანა: - რა?.. (პაუზა.) შენ ნაგავი ხარ, ალკოჰოლიკი, შენ გგონია შეგიძლია აი ასე მოხვიდე და გამაგლო ჩემი სახლიდან?!

ოლგა: - მე შენი და ვარ.

ანა: - მე და ჩემი შვილები?!

ოლგა: - შენ დიდი შვილები გყავს.

ანა: - დედას ჩემთვის არაფერი უთქვამს!

ოლგა: - უცნაურია. მას ხომ ყველაზე მეტად უყვარდი. მამაზე მეტად, ჩემზე მეტად, ყველა შვილიშვილზე მეტად. მისთვის შენთან ყოფნა ადვილი იყო. შენ მას მუდამ უკმევდი.

ანა: - ტყუილია!

ოლგა: - სიმართლეა. იცი, რომ სიმართლეა. შენ იცოდი როგორ გამოგეყენებინა იგი, მისი კავშირები. ის მხოლოდ შენ გეხმარებოდა.

ანა: - ვერაფერსაც ვერ მიიღებ!

ოლგა: - შენ აქეზებდი მას ჩემს წინააღმდეგ. მე ვიცი.

ანა: - განდიდების მანია გჭირს!

ოლგა: - შენ ყოველთვის კარგი იყავი, მე - ცუდი. ცუდებს არ ჭირდებათ დახმარება, მათზე ზრუნვა საჭირო არაა. მაგრამ თქვენ ერთი დიდი შეცდონა დაუშვით...

ანა: - რომელი?

ოლგა: - თავი ისე გეჭირათ, თითქოს არ ვარსებობ. მე კი ვარსებობ.

ანა: - ჯობდა არ ყოფილიყავი!

(პაუზა.)

ოლგა: - შენგან სხვას არც არაფერს ველოდი.

ანა: - ოლგა!

(პაუზა.)

ოლგა: - რა?

(პაუზა.)

ანა: - ნუთუ შენ ამას გააკეთებ?..

ოლგა: - დიახ. მე მიინდა ამის გაკეთება. მე მიინდა, რომ ბოლოს და ბოლოს საკუთარი ჭერი მქონდეს.

ანა: - რისთვის?

ოლგა: - შენ ვერ გაიგებ.

ანა: - შენ ასე მაინც ვერ იცხოვრებ!..

ოლგა: - როგორ?

ანა: - როგორც მე, როგორც ყველა ადამიანი!

ოლგა: - ვითომ რატომ?

ანა: - იმიტომ, რომ თავისუფლება აირჩიე! იმიტომ, რომ შენ ყოველთვის თავისუფლებას ირჩევდი! ბავშვობაშიც კი ვერავინ გაიძულებდა შენი სურვილის წინააღმდეგ რამის გაკეთებას!..

ოლგა: - შენ კი გინდოდა, გამოტყედი, ძალიან გინდოდა დაგემორჩილებინე, გეიძულებინე, ხომ მართალია? შენ უფროსი იყავი, - მე გითმობდი, მე ყოველთვის დამთმობი ვიყავი, მაგრამ შენთვის მაინც ცოტა იყო, მაინც ცოტა!.. გინდოდა მონურ მორჩილებში გყოლოდი და თან ძალღერხვას მთხოვდი, მოითხოვდი მაღლიერებას ყველაფრისთვის, ყოველი შენი შემოხედვისთვის, ყველა ნაგავისთვის, რასაც მამლევდი!.. ხედავ, - ყველაფერი მახსოვს. და ახლა აღარ დავთმობ. კმარა. საკმარისია.**(პაუზა.)** როგორ ველოდი ამ დღეს. არაფერს ველოდი ამაზე მეტად. არაფერს და არავის. ათასჯერ მაინც წარმოვიდგენდი როგორ დაგიგრძელებოდა სახე, როგორ დაქაჩავდი თვალებს, როგორ დაიწყებდი კუდის ქიცინს, რომ ხელცარიელი გაგეშვი აქედან! შენ ეს შეგიძლია, შენ იცი რომელ ღილაკს დააჭირო, იცი სადა აქვს ადამიანს სინდისი, გული, მაგრამ მეც, მეც რაღაც ვიცი! შენ ბევრი რამ მასწავლე. სწორედ შენ და არა ვინმე სხვამ!..

ანა: - ოლგა...

ოლგა: - ნუ მაწყვეტინებ! ჯერ ყველაფერი არ მითქვამს. სათქმელი კი ბევრი მაქვს შენთვის! **(სიგარეტს ამოიღებს.)** მომეცი საფერფლე.

ანა: - ჩვენთან არ ეწევიან.

ოლგა: - ეს თქვენთან არ ეწევიან, მე კი ჩემს საკუთარ სახლში მოვწევ! ჩემს საკუთარ სახლში გავაკეთებ ყველაფერს, რაც მომეპრიანება!.. (პაუზა.) აბა, მომცემ საფერფლეს თუ არა?

ანა: - არა.

ოლგა: - (თაროდან საფერფლეს აიღებს,) მაშ კარგი, თავად ავიღებ. მით უმეტეს, რომ მამაჩემის საფერფლეა. დალიე, დალიე, რატომ არ სვამ?... შესანიშნავი ყავაა. ბრაზილიური! დალიე... მართლა, სათადარიგო გასაღები გაქვთ?

ანა: - რისთვის?..

ოლგა: - ჩემთვის. სანამ ბინას არ გავცვლით, მე აქ ვიცხოვრებ. მომწონს აქ... სხვა გასაღებს მე თვითონ გავაკეთებ.

ანა: - რომელ სხვას?

ოლგა: - ხომ გითხარი?... მეგობარი მყავს!

ანა: - მეგობარი?..

ოლგა: - ოჰ, ეს რომანტიკული ისტორიაა! გინდა გიამბო? ეს ძალიან საინტერესოა! ერთი კიდევ დამისხი!.. გთხოვ... (ანა არ ინძრევს.) მაშ ასე, წარმოგიდგენია, ის ნამდვილი მამაკაცია!.. შეგიძლია წარმოიდგინო?..

ანა: - ეგ რას ნიშნავს?..

ოლგა: - ეს იმას ნიშნავს, რომ ის გმირია! მან მე გადამარჩინა!

ანა: -შენ?..

ოლგა: - გგონია ვხუმრობ? სერიოზულად ვამბობ! მან იხსნა ჩემი პატიოსნება!

ანა: - ვინ წარმოიდგენდა!

ოლგა: - აი, ზუსტად!.. შემოდგომის გვიან სათამოს ვბრუნდებოდი თეატრიდან...

ანა: - თეატრში დადიხარ?

ოლგა: - თეატრებში! მე ხშირად დავდივარ თეატრებში!... მომწონს ჩურჩული, როცა სანთლები ქრება...

ანა: - ეს როდის იყო?

ოლგა: - შარშან შემოდგომაზე.

ანა: - იქ სანთლები იყო?

ოლგა: - ნუ უკირკიტებ! უბრალოდ მომწონს ვიფიქრო, რომ სანთლებია. სანთლები, - ეს ისეთი რომანტიკულია!

ანა: - რომანტიკა მოგინდა?

ოლგა: - ეს ყოველთვის მომწონდა...

ანა: - და რა ნახე?

ოლგა: - რაღაც ფრანგული!.. მეცვა ძვირფასი კაბა, მარტო ვიყავი... ჯერ კიდევ მთლიანად თეატრში ვიყავი, იმ მუსიკაში... შესაძლოა ამან მოიზიდა ისინი?..

ანა: - ვინ ისინი?

ოლგა: - სამი უზარმაზარი კაცი!.. კარგად ჩაცმულნი!..

ანა: - და სამივემ წინადადება გაგიკეთა?

ოლგა: - ო, არა, ისინი პირდაპირ მომცვივდნენ!

ანა: - და რა უნდოდათ?

ოლგა: - არ ვიცი. შესაძლოა სულ ცოტათი გართობა უნდოდათ?..

ანა: - შასანიშნავია! ეს სწორედ შენს გემოვნებაა!

ოლგა: - შენ ძალზე ცუდი წარმოდგენა გაქვს ჩემზე...

ანა: - გასაკვირი არაა!

ოლგა: - შენ ძალიან ცუდს ფიქრობ შენს დაზე! მე წესიერი ქალი ვარ. მე ცხოვრებაში ბევრი შეცდომა დავუშვი, მაგრამ არასოდეს, გესმის, არასოდეს...

ანა: - (მკვეთრად აწყვეტინებს) საკმარისია!.. საკმარისია ეს მასკარადი! იმის გარდა, რომ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ფხიზელი არავის უნახიხარ და ჩვენ ყველანი სირცხვილით ვიწვოდით, რომ შენი ფოკუსებით სიკვდილის პირას მიიყვანე დედაჩვენი, - ახლა მოხვედი ჩემს სახლში და დამცინი! კმარა! ღმერთია მოწამე, დიდხანს ვითმინე! გაეთრიე! გესმის, ამ წუთასვე!..

ოლგა: - (მშვიდად) ჯერ ჩემი ყავა არ დამიღევია.

ანა: - გაეთრიე!!!

ოლგა: - თანაც ყველაფერი არ მიაძნია შენთვის. შენ შემაწყვეტინე, კარგად აღზრდილი ადამიანები ასე არ იქცევიან.

ანა: - შენ არავითარი, გესმის, არავითარი უფლება არ გაქვს ამ ბინაზე! შენ ჩემი და არ ხარ! მე და არ მყავს! შენ ქუჩის ქალი ხარ, ჩემთვის არავინ ხარ!.. აქ ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ! ისინი აქ ცხოვრობდნენ! მე ყველა მათ ახირებას ვასრულებდი, ყველა მათ კაპრიზს! სად იყავი, როცა მამა კვდებოდა?! სად იყავი, როცა დედა ავად იყო, როცა ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცა?! ის მუდამ ყურადღებას ითხოვდა და თუ ვინმე გამოუმშვიდობებლად მიდიოდა, ისტერიკებს მართავდა! სახლში შეუძლებელი იყო საუბარი, მუსიკის მოსმენა, სიცილი!..

ოლგა: - სიცილი?..

ანა: - დიახ! რადგან ყველაფერს საკუთარ თავზე ღებულობდა!..

ოლგა: - წარმომიდგენია როგორ გინდოდათ მის ჯინაზე გეკისკისათ!

ანა: - მე... მე წამებით დავიმსახურე ეს სახლი, ეს ცხოვრება! ახლა ვერავინ, ვერავითარი კანონი მას ვერ წამართმევს! ჯარიც რომ მოვიდეს აქ, - მე დავიცავ საკუთარ სახლს, საკუთარ შვილებს!.. მე არ მინდა გიცნობდე, გხედავდე, ერთი ჰაერით ვსუნთქავდე შენთან ერთად!..

ოლგა: - მე შენი და ვარ...

ანა: - ჩემი ყოფილი და! ყოფილი! შენ ოდესღაც იყავი ჩემი და, ახლა კი ნაგავი ხარ, ლოთი ნაგავი!..

(ოლგა მაგრად გაარტყამს ანას სახეში. ანა იატაკზე ვარდება. პაუზა.)

ოლგა: - შენ ძლიერი ხმა გაქვს. შენგან კარგი ბაზრის მოვაჭრე გამოვიდოდა.

(პაუზა.)

ანა: - მტკივა.

(პაუზა.)

ოლგა: - მეც.

ანა: - რატომ?

ოლგა: - რა რატომ?

ანა: - შენ რალატომ გტკივა.

(პაუზა.)

ოლგა: - მე არ მინდოდა...

ანა: - რა არ გინდოდა?

ოლგა: - არ მინდოდა შენთან ასე მელაპარაკა. მეგონა გამიგებდი.

ანა: - გეგონა მოვკრეფდი ნივთებს და წავიდოდი?

ოლგა: - არა.

ანა: - აბა რა იფიქრე?

(პაუზა.)

ოლგა: - ჩვენ აღარავინ გვყავს, ჩვენ მარტონი ვართ. სულ მარტონი.

ანა: - მე ბავშვები მყავს.

ოლგა: - ბავშვები...

ანა: - მე მარტო არ ვარ...

ოლგა: - არ მინდოდა მძულეობოდი, ეს არც ახლა მინდა.

ანა: - შენ ხომ მარტო არა ხარ. შენ გყავს ის, შენი გმირი... ხომ გყავს?

ოლგა: - მყავს...

ანა: - თუ არა? .. თუ ყველაფერი გამოიგონე?..

(პაუზა.)

ოლგა: - თუ...

ანა: - ასეც ვიცოდი.

ოლგა: - რა შეგიძლია შენ იცოდე...

ანა: - მგონი კბილები ჩამიმტვრიე...

ოლგა: - არა, ასე არ მინდოდა...

ანა: - თუ ეს სიმართლეა, მე ახლავე დავრეკავ პოლიციაში, შენ დაგიჭერენ!...

(პაუზა.)

ოლგა: - მიდი. (პაუზა.) რატომ არ მიდიხარ? მიდი, დარეკე.

ანა: - თავი მიბრუნის... პირში რკინის გემო მაქვს... ეს სისხლია... ჰო, ასეა, - სისხლი!..

ოლგა: - გიხარია!

ანა: - მიხარია! კი!

ოლგა: - გინდა ტელეფონს მოვიტან? აქედან დარეკავ.

ანა: - მოიტანე.

ოლგა: - სად არის?

ანა: - შემოსასვლელში.

(ოლგა გადის, ბრუნდება ხელგარიელი, ჯდება.)

ოლგა: - არაფერი გამოვა. მავთული მოკლეა. თავად მოგიწევს ადგომა.

ანა: - ცოტა აზრზე მოვალ...

ოლგა: - მიდი. (პაუზა.) რაღაც მომშივდა...

ანა: - რა?

ოლგა: - მშია-მეთქი, ვამბობ. შენ არ გინდა?

ანა: - მიდი, მიდი, დამცინე. ყველაფერი ჩაგეთვლება!..

(ანა მიიმხედ წამოდგება.)

ოლგა: - რამე გემრიელი გაქვს?

(ოლგა დგება, ანა მაშინათვე დაავლებს ხელს მწვანის საჭრელ დაფას)

ანა: - არ მომეკარო!

ოლგა: - რაღაც გემრიელი მინდა, ვიჩინა, მაგალითად. შენ არ გაქვს ვიჩინა?

ანა: - შენგან გავაკეტებ ახლა ვიჩინას!

ოლგა: - ჩემგან არ გამოვა.

ანა: - გამოვა.

ოლგა: - გააკეთე.

(ნაბიჯს გადადგან ანასკენ. პაუზა.)

ანა: - ცოდვას ნუ ჩამადნენინებ!.. ცოდვას ნუ ჩამადნენინებ, შენი დედაც!..

ოლგა: - ინტელიგენტი ქალი ხარ და იქცევი როგორც მაწანწალა.

ანა: - ეს შენ ხარ მაწანწალა, - გაიგე!

ოლგა: - გავიგე. არასწორად გიჭირავს ეგ ნივთი. ეგრე მოუხერხებელი იქნება შენთვის.

ანა: - აბა როგორ?

ოლგა: - შენ ფართე მხრიდან გიჭირავს, ვიწრო მხრიდან უნდა გეჭიროს. დარტყმა უფრო ძლიერი იქნება.

ანა: - (შეინაცვლებს ფიცარს) ასე?

ოლგა: - მასე. (პაუზა.) მაგით მოკვლაც შეიძლება... მძიმეა?

ანა: - შენთვის იკმარებს.

ოლგა: - ხელს, როგორც ნაფოტს გადაამსხვრევს, - კარგი ნივთია! ყავა გაგიცივდა. შეგითბო?.. გეკითხები, - შეგითბო?..

(პაუზა.)

ანა: - მისმინე, შენ!.. შენ...

ოლგა: - თქვი. არ მეწყინება.

ანა: - შენ...

ოლგა: - ნაგავი?

ანა: - ჰო! ნაგავი!

ოლგა: - გისმენ.

ანა: - შენ რა, აპირებ მთელი დღე აქ იყურყუტო?

ოლგა: - არა. მხოლოდ პოლიციის მოსვლამდე. მერე წამიყვანენ. იქ ისე ცივა, საკნებს არ ათბობენ, მე კი მარტო კაბა მაცვია. ეშმაკმა დასწყევლოს, რა მოუხერხებლად გამოვიდა!.. გავცივდები... მისმინე, იქნებ შენა გაქვს რამე ძველი რეიტუზები, იქნებ დედასგან დარჩა რამე, ჩემთვის სულ ერთია. მხოლოდ რომ თბილები იყოს!..

ანა: - მაქვს.

ოლგა: - ჰო და, მაღლობა ღმერთს!.. თბილად უფრო მხიარულად იქნები ადამიანი. კეკლუცობა არავისთან გიწევს, - მხოლოდ ქალები არიან, სუნიანები, საზიზღრები! და კიდევ სავარცხელიც, რაიმე ძველი სავარცხელი... ჩემი მუდამ მავიწყდება, ქალწულის მეხსიერება მაქვს...

ანა: - ეს შენა გაქვს ქალწულის მეხსიერება?

ოლგა: - ცხადია. მე ხომ გასათხოვარი ვარ!..

ანა: - ესე იგი ჯერ კიდევ ქალწული ხარ?
 ოლგა: - ზუსტადაც! ჯერ კიდევ!
 ანა: - ქალიშვილი, როგორც გამოდის...
 ოლგა: - წარმოგიდგენია?!.
 (პაუზა.)
 ანა: - შენ რა, სერიოზულად?..
 ოლგა: რა?
 ანა: - თავს ნუ ისულებებ. ქალიშვილი ხარ?
 ოლგა: - დაუჯერებელია?
 ანა: - ითქმის.
 ოლგა: - სიბერემდე შემოვინახე...
 ანა: - და მერე შენი მეგობარი?
 ოლგა: - რომელი მეგობარი?
 ანა: - თვითონ თქვი - მყავსო. რომელიღაც გმირი...
 ოლგა: - ააა... გმირი...
 ანა: - ნუ, ჰო...
 ოლგა: - არაა... ის მხოლოდ ხალხის თვალშია გმირი, დღის სინათლეზე...
 ანა: - სიბნელეში?
 ოლგა: - სიბნელეში, - გმირი არაა.
 ანა: - სრულებით?
 ოლგა: - სრულებით. გამოთვრება და ძინავს ჩემს გმირს.
 ანა: - რატომღაც ცხოვრობ მასთან?
 ოლგა: - ცხოვრება ხომ საჭიროა. არავინაა ვისთანაც იცხოვრებ. - ჰო და, ცხოვრობ ასე, ვისთანაც მოგიწევს!.. (პაუზა.) ხელები არ დაგელალა?
 ანა: - არა.
 ოლგა: - ამოისუნთქე.
 ანა: - შენი საქმე არ არის.
 ოლგა: - ან და მორიგეობით, - ჯერ ერთი ხელი, მერე მეორე...
 ანა: - არაფერია, როგორღაც გავუძლებ...
 ოლგა: - როგორც გენებოს. (პაუზა.) იქ საშინლად აჭმევენ...
 ანა: - სად?
 ოლგა: - ციხეში.
 ანა: - და შენ საიდან იცი? მოგიწია?
 ოლგა: - შესაძლოა...
 ანა: - იქაა შენი ადგილი.
 ოლგა: - იქ ადგილი ყველასთვისაა.
 ანა: - რისი თქმა გინდა?
 ოლგა: - იმის თქმა მინდა, რომ თუ თავს გამოტყებ, ან ხელს მომტყებ...
 ანა: - მაშინ?..
 ოლგა: - ერთად მოგვიწევს ყურყუტი. შენც ყოველი შემთხვევისათვის რეიტუზი ჩაიცვი.

ანა: - ენა გაგიხმეს!

ოლგა: - ფუ-ფუ-ფუ! წარმოგიდგენია, ნაძირლები რას აკეთებენ, - კომბოსტოს ადუღებულ წყალს ასხამენ და ხალხს აჭმევენ! თვითონ მუცლის გასკდომამდე ჭამენ, ხალხს კი ნარჩენებს აჭმევენ და ხალხსაც უხარია! (ანა სამზარეულოს დაფას ხელს გაუშვებს.) მათ ყველაფერი ახარებთ, ეს დამპალი საკვებიც კი. ეს სიდამპლე მათთვის დღესასწაულია!

(პაუზა.)

ანა: - კარგი.

ოლგა: - როგორც ახალი წელი! რა კარგი?..

(პაუზა.)

ანა: - ჭამე!.. ცოხნე!..

(პაუზა.)

ოლგა: - ვიჩინა, ალბათ, არ არის?..

ანა: - არის!

ოლგა: - ყველი?

ანა: - ყველაფერი არის!

ოლგა: - და ლუდი?

ანა: - ლუდიც არის!

ოლგა: - ეშმაკსაც წაუღია ყავა!.. (ოლგა მაცივარს უახლოვდება. დისკენ ზურგით დგას.) ჰო, თუ დამარტყამ, - თავში დამარტყი. ზემოდან. გვერდულად არ დამატყა, შეიძლება შემოგაკვდე. არც ისე სასიამოვნოა. მარტო რეიტუზები არ გეყოფა... (ოლგა მაცივარს გამოაღრბს. გაირინდება.) ოჰ!.. აქ ხომ მთელი სამი კვირის სამყოფია, სახლიდან სულ რომ არ გახვიდე!..

ანა: - ნუ გიკავია...

ოლგა: - რა?

ანა: - ღიად ნუ გიჭირავს! აილე რაც გინდა და დაკეტე!

ოლგა: - აბა რა ვიცი რა მინდა... ყველაფერი მინდა.

ანა: - ბებიაშენისამ! მიდი ჩქარა!..

ოლგა: - არ შემიძლია. მე ხომ აქ არაფერი ვიცი, უბდა შევათვალიერო...

ანა: - ვიჩინა ზევეითაა, ყუთში, ლუდი ქვევით!

ოლგა: - ყუთში?..

ანა: - შენ რა, დაყრუვდი?..

ოლგა: - მგონი არა...

ანა: - შენ ამას სპეციალურად აკეთებ?! დაკეტე მაცივარი-მეთქი, გეუბნები!..

(ოლგა მაცივარს კეტავს. პაუზა.)

ოლგა: - უფ-ფ! ოფლმა დამასხა... აი თურმე როგორი ცხოვრება გაქვთ...

ანა: - როგორი?... (პაუზა.) კიდევ როგორი ცხოვრება?..

ოლგა: - და აი ასეთი! ასეთი სიჩქარით რომ მაცივარი გადაქექო, - სპეციალური განათლებაა საჭირო! ვარჯიშია საჭირო!.. კუნთების დაყენება! გაქანება, ნახტომი, მზერა!.. მერე საჭიროა აბსტრაქტული აზროვნება, სივრცეში ორიენტირება...

ანა: - ეს რაღა საჭიროა?

ოლგა: - როგორ თუ რატომ? მაცივარი ხომ გამჭვირვალე არაა! წინასწარ უნდა იცოდე სად რა დევს. ეს ხომ უნდა წარმოიდგინო, სურათი უნდა დაინახო!..

ანა: - გამოდი.

ოლგა: - საით?

ანა: - მოშორდი მაცივარს. მე თვითონ მოგცემ... მიდი...

ოლგა: - რა მიდი?

ანა: - მოშორდი მაცივარს!..

ოლგა: - შეიძლება დავჯდე?..

ანა: - დაჯექი. (ოლგა ჯდება. ანა რამდენიმე შეკვრას გამოიღებს მაცივრიდან, ერთს ისევ უკან აბრუნებს.) ნუ! ნუ!.. არა, ეს სახლისაა...

ოლგა: - ეს რა იყო?..

ანა: - შენი საქმე არაა. ჭამე!

ოლგა: - რულეტი?

ანა: - არა!

ოლგა: - კისერი?

ანა: - არა!

ოლგა: - მაშინ არ ვიცი...

ანა: - ეს იყო...

ოლგა: - რა?

ანა: - (დაფიქრდება) შოკოლადის კარაქი...

(პაუზა.)

ოლგა: - უჰ! რატომ მითხარი!.. რატო, რა-ტომმ... ნუთუ კიდევ არსებობს მზისქვეშეთში შოკოლადის კარაქი?

ანა: - იქნებ მასხრობა საკმარისია?

ოლგა: - შეიძლება საკმარისიცაა. (ღიღინებს.) წავიხემსოთ მეგობრებო შორი გზის წინ, იქნება სავალი მსუბუქი აღმოჩნდეს!.. გთხოვ, დანა მომაწოდე.

ანა: - არ მოგცემ!..

ოლგა: - რა მთელ ნაჭერს მოვაკებიჩო?..

ანა: - კიდევ რა გნებავს?!

ოლგა: - მაშ რა ვქნა?..

ანა: - მოშორდი მაგიდას. მოშორდი, მე თვითონ მოვჭრი...

ოლგა: - შენ ცუდად მოჭრი.

ანა: - კარგად მოვჭრი.

ოლგა: - ვიცი შენი კარგად! ისე მოჭრი, რომ მის უკან წიგნის წაკითხვა იქნება შესაძლებელი...

ანა: - შემძლია ესეც არ მოგცე.

ოლგა: - შეგიძლია. შენ ყოველთვის შეგიძლია.

ანა: - მოშორდი მაგიდას!.. (ოლგა მაგიდას მოცილდება, ანა ჭრის ვიჩინას, პურს, ყველს, მალავს დანას.) დაჯექი...

(ოლგა მაგიდას მიუჯდება.)

ოლგა: - ღმერთო, რა სუნია!.. ვიჩინის ღვთიური სურნელი!.. რომანის სათაურივით ჟღერს!.. (ჭამს, ხვნეშავს) ოჰ!.. ოჰ!.. ღმერთო, როგორი ბედნიერებაა!..

ანა: - სავსე პირით ნუ ლაპარაკობ.

ოლგა: - ის ჯერ სავსე არაა!.. (მომღევენო ნაჭერს იტენის პირში.) აი ახლა ნამდვილად სავსეა და ეს არაჩვეულებრივია! დიახ! და კიდევ! რადგან გადაიფიქრე ხელები მოგემტვრია ჩემთვის, მოგიწევს პატარა სესხი მომცე.

ანა: - რა?

ოლგა: - სულ ცოტა. იქაც, როგორც აქ, - ყველაფერი ფულზეა. სიგარეტი, დასალევი... სიგარეტის გარეშე არ შემიძლია, მენტოლი მიყვარს! ეს შიკია! მიყვარს მდიდრული ცხოვრება ანიკო, არაფერი შემიძლია მოვუხერხო საკუთარ თავს!..

(ლუდს ისხამს.) შენ გაგიმარჯოს!..

ანა: - მიდი, მიდი! ოღონდ არ დაიხრჩო...

ოლგა: - შევეცდები!

(ოლგა ხარბად ჭამს. პაუზა.)

ანა: - ბოლოს როდის ჭამე?..

ოლგა: - ოჰ, არ მახსოვს! გუშინ, მგონი!.. ან გუშინწინ... საერთოდ ყოველდღე ვჭამ... (პაუზა.)

ანა: - მაშ ასე, ყურადღებით მომიხმინე. (თავს აქნევს) შეჭამე და აითესე. ეგრე იყოს, ერთი ბოთლისას მოგცემ. წახვალ შენს მეგობართან პახმელიაზე გამოსასვლელად, - ყველაფერი კარგად იქნება! და რომ აქ აღარასოდეს გნახო! ბინა დაივიწყე, გაიგე?.. სამაგიეროდ პოლიციაში არ დავრეკავ და საერთოდ არსად არ დავრეკავ. მაგრამ თუ შენ...

ოლგა: - რა თუ მე?..

ანა: - თუ კიდევ გამოჩნდები, ციხეში წახვალ. თბილი შარვლის გარეშე. რითაც მოგხვდება. გაიგე?.. გაიგე რაც გითხარი?

(პაუზა.)

ოლგა: - (ჭამას ამთავრებს) გემრიელია!.. გასაოცარია მაინც რა შეიძლება გაკეთდეს ჩვეულებრივი ღორისგან!..

ანა: - არ მესმის?..

ოლგა: - ჭუჭყიანი, საზიზღარი ღორისაგან!..

ანა: - პასუხი არ მესმის!

ოლგა: - მსუქანი ღორისაგან!.. (პაუზა. დები ერთმანეთს შესცქერიან.) მიგიხვდი.

ანა: - ჰო და, ძალიანაც კარგი!

ოლგა: - ყველაფერს მივხვდი.

ანა: - შენ ხომ ჭკვიანი გოგო ხარ.

ოლგა: - ჰო. ჭკვიანი ვარ. ჭკვიანი და ლამაზი. მე ლამაზი ვარ?

ანა: - ლამაზი ხარ.

ოლგა: - და კიდევ, ბედნიერი ვარ! მე ძალიან ბედნიერი ვარ! მე ყველაზე ბედნიერი ვარ ამ ქვეყანაზე! იცი რატომ?

ანა: - რატომ?

ოლგა: - იმიტომ რომ ადამიანების გარჩევა შემიძლია!

ანა: - აჰ! აი თურმე რა...

ოლგა: - დიახ! აი მაგალითად, ვხედავ ვინმეს და უკვე ვიცი, რაზე ფიქრობს. გამოლაპარაკებაც არ მჭირდება, ერთი მზერაც საკმარისია, - და ხელისგულზე მყავს! წარმოგიდგენია?... აი ახლახანს ქუჩაში მივდიოდი, ვეწეოდი - მე მწეველი ვარ!.. უცბად მოირბინა ჩემთან ახალგაზრდა თავხედმა კაცმა, მაგარი ბიჭებიდან, და თავხედურად მეუბნება, - მოდით თქვენი სიგარეტიდან მოვუკიდებ!.. თვითონ კი თვალებით მჭამს, - აბა როგორია? როგორი ბუღაა?... ა?... კარგია, ღმერთმა დასწყევლოს?! მე კი მას ვეუბნები, - არა. წარმოგიდგენია? ვეუბნები, - არ მიყვარს, როცა ჩემი სიგარეტიდან უკიდებენ და ნამწვს ფეხით ვსრეს. გამოქლიავდა! პირი დაალო, - სიტყვას ვერ ამბობს. მე კი თემოების რხევით წავედი, გედივით გავსრიალდი! მე ის თავიდანვე შევიცანი, ძალი! შებმა მომინდომა! მოკიდება არც უნდოდა, ნაძირალა, შეჭმა, მწარედ კბენა უნდოდა! აქაო და ვერ გამჩნევთო, თქვენ ყელზე არ დაგვადგებითო, თქვენი სიგარეტიდან მოვუკიდებთ, მეტზე კი არაფერზე იფიქოთ ლამაზოო. ჩემი დამცირება უნდოდა, მაგრამ არ გამოუვიდა! ჩაისვარა! აი ასე! შენც არ გამოგივა! არ მოშუშდება! ერთი ბოთლით გინდა იოლას გახვიდე, საკუთარ თავზე სულელი მიპოვე, - აი შენ! **(სამარცხვინო ჟესტს აკეთებს)** შენ ხომ ურო გაქვს, აი შენ ნამგალი, აი შენ მთელი ძღნერი ბოლო წვეთამდე, ანიკო! აი შენ დაიკო სასტვენნი!.. პოლიციელები კი, არც დაგელაპარაკებიან, რადგან სიფათზე ძალადობის კვალი არ გამჩნევია! სიფათზე შოკოლადის კარაქის კვალი გატყვია, მათ კი ასეთები არ უყვართ! ასე რომ ცრუ გამოძახებისათვის დამატებით ჯდომა მოგიწევს. მოასწრებ ვიჩინის და ლუდის მონატრებას! გაიხსენებ მათ, როგორც შორეულ კეთილ ადამიანებს და წაუტირებ კიდევ!..

(პაუზა.)

ანა: - შენ... შენ...

ოლგა: - თვალებს ნუ აბრიალებ, მე შენი არ მეშინია. იცი რატომ?

ანა: - რატომ?

ოლგა: - იმიტომ, რომ დასაკარგი არაფერი მაქვს. არაფერი გამაჩნია. საერთოდ არაფერი!.. **(უეცრად ანას ისტერიკა ეწყება, ქვითინებს.)** ნუ, აი... ნუ, არ გინდა, არ გინდა ასე... დაწყნარდი... **(ცხვირსახოცს აძლევს)** აი, აილე... აი, აი აილე... **(ანა ცხვირსახოცს გამოართმევს)** არაფერია, არაფერი! ცხოვრება გავლილია!.. ამამიც არაა საქმე!.. რა მინდა, სულ ცოტა, ღმერთო ჩემო! არსოდეს არ ვაგროვებდი, არ ვუფრთხილდებოდი, წინდაში არ ვტენიდი!.. სიხარული ყველაფერზე ძვირფასი იყო ჩემთვის! სიცოცხლის სიხარული, თითოეული წუთის, თითოეული დღის. და თავისუფლებას კი არა, სიხარულს ვირჩევდი! ამიტომაც წავედი. ამ სამარეში ისეთი უსიხარულობა იყო, ისეთი სიმძიმე... ბავშვები ყვიროდნენ, მამა დუმდა, ჩვენ დედასთან ერთად გველებივით ვსისინებდით. თქვენ ყველასგან დაფარული საიდუმლო გქონდათ. ყველასგან. მაგრამ არა ჩემგან. მე ვიცი თქვენი საიდუმლოებები.

ანა: - საიდან?..

ოლგა: - რამ შეგაშიბა?... გეშინია? თქვი, - გეშინია?... **(პაუზა)** აი იქაა თქვენი საიდუმლოება, განჯინაში, ბოლო თაროზე...

ანა: - არა! იქ არაფერი არაა!..

ოლგა: - თუ არაფერია, - ასე რატომ დეღავ?... არ არის და ნუ არის. (პაუზა)
მხიარულება კი ნამდვილად ვიცოდი! ნახევარ ჭიქად ატყვდებოდი, ავმღერდებოდი
შუალამემდე... ახალგაზრდობაში მახსიოვს მთელი ღამე ვისხედით კომპანიაში.
ვმღეროდით, ვიცინოდით, ვკოცნიდით, დილით სახლებში გავიკრიფეთ. გარეთ
გამოვედით და იქ განთიადი იდგა, წყნარი, წყნარი... მე ვთქვი, - მოდით ვიცეკვოთ, -
და ჩვენ ყველანი ამ სიჩუმეში ერთმნეთს მოვებვიეთ და ერთი-ორი-სამი, ერთი-ორი-
სამი, ერთი-ორი-სამი... ირგვლივ კი მტერდებია, მტერდები და მზე ანათებს.

(პაუზა. ოლგა ანას შეყურებს.)

ანა: - ასე რატომ მიყურებ?

ოლგა: - არ შეიძლება?

ანა: - ჩემი მოკვლა გინდა?

ოლგა: - არა. მე ხომ მიყვარხარ.

ანა: - მე?

ოლგა: - დიახ!

ანა: - რისთვის?

ოლგა: - და ხარ ჩემი.

ანა: - ტყუი.

ოლგა: - სიმართლეს ვამბობ.

ანა: - გინდა გული ამიჩუყო?

ოლგა: - არა.

ანა: - გინდა... (პაუზა.) საიდან მოხვედი?... საიდან?!. რატომ მოხვედი, ეშმაკმა
წაგიღოს?!. ვიცოდი, ვიცოდი, რომ ეს კარგად არ დამთავრდებოდა!.. დედა
გარდაიცვალა, - ვიფიქრე, - მორჩა! მორჩა ჩემი სატანჯველი! ახლა დიასახლისი ვარ,
ახლა ჩემი ჯერია ვიცხოვრო, ვისუნთქო, ჯერი კიდევ არ არის გვიან, ჯერ კიდევ
ყველაფერი არ დაკარგულა!.. (პაუზა) ღმერთო!.. შენ ალბათ ფიქრობ, რომ ჩემი ქმარი
განძია, ქვის კედელია! არა, ჩემი ქმარი ჭიყყელაა, სიცარიელე!.. რა გვიან გავიგე ეს,
ძალზე გვიან... უკვე აღარაფრის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა. ბავშვი, მეორე!..
მისი დანახვა არ შეემძლო! არ შეემძლო მასთან ერთად ძილი! ოთხპირ შარვალს
ვიცვამდი ლოგინში, რომ როგორმე მსათან არ ვყოფილიყავი!..

ოლგა: - რატომ არ გააგდე?

ანა: - ვცდილობდი! მინდოდა, მაგრამ დედა!

ოლგა: - დედა?

ანა: - ჰო!.. დედა!.. სახეში მირტყამდა, მცემდა!...

ოლგა: - რისთვის?..

ანა: - იმიტომ, რომ სიტყვა წამომცდა გაყრის შესახებ!.. მას მოსწონდა, რომ მის
ქალიშვილს ნამდვილი, სრულფასოვანი ოჯახი ჰქონდა. ის გაუთავებლად
ლაპარაკობდა ამაზე, ის ამით ამაყობდა...

ოლგა: - რატომ არ გააგზავნე ეშმაკებთან, შენ ხომ ასეთი ძლიერი ხარ?!..

ანა: - ვერ შევძელი! ვერ შევძელი... მე არ მქონდა ძალა ყველას წინააღმდეგ
მებრძოლა! და მერე...

ოლგა: - რა?.. რა მერე?..

(პაუზა.)

ანა: - არაფერი... (პაუზა) არაფერი...

(პაუზა.)

ოლგა: - შეუძლებელია... (პაუზა) შენ დღემდე გეშინია მისი. ის უკვე ნახევარი წელია რაც აღარ არის. შენ კი მაინც გეშინია მისი! .. როგორ დაუშინებიაარ!..

ანა: - ჰო! ჰო!!! მეშინია!!! მე მთელი ცხოვრება მასთან ერთად ვიცხოვრე! უკვე ორმოცდაექვსი წელის ვარ!.. მე უკვე აღარ ვიცი სად არის ის და სად მე! მე მისი ხელები, მისი თვალები, მისი ხმა, მისი ავადმყოფობაც კი მაქვს!.. ბავშვობაში ის ჩემი კუმირი იყო, მე მას ვაღმერთებდი, მინდოდა დავმგვანებოდი ყველაფერში! დავდიოდი, როგორც ის, ვახველებდი, როგორც ის, თვალებს ვჭუტავდი, ბოლოს და ბოლოს ვისწავლე მეფიქრა, მეგრძნო ისევე, როგორც ის ფიქრობდა და გრძნობდა!

ოლგა: - გრძნობდა?.. განა მას შეეძლო ეგრძნო?..

ანა: - ეს სასაცილო არ არის.

ოლგა: - განა მას შეიძლება რამე ეგრძნო, გარდა სიცივისა ანდა სიძულვილისა; გარდა შურისა, ის კიდევ რამეს გრძნობდა?!

ანა: - დიახ!

ოლგა: - და რას?

ანა: - სირცხვილს!.. სირცხვილს, რომელიც შენ არ გაგაჩნია!..

ოლგა: - მას რცხვენოდა?..

ანა: - დიახ! შენ წარმოიდგინე!..

ოლგა: - ვის გამო? ჩემს გამო ხომ არა?

ანა: - შენ საოცრად მიხვედრილიხარ!..

ოლგა: - მას რცხვენოდა, რომ მისი უმცროსი ქალიშვილი უჭეროდ, თანადგომის გარეშე იღუპება?

ანა: - ზედმეტი მოგდის!

ოლგა: - ან იქნებ მას თავისი უფროსი ქალიშვილს გამო რცხვენოდა, რომლისთვისაც მუდამ უნდა წაგეკრა ხელი სკოლაში, ინსტიტუტში, ასპირანტურაში! რომლისგანაც ისეთივე ექიმი გამოვიდა, როგორც ძღწერისგან ტყვია? რომელსაც არ აქვს არც გული, არც ჭკუა, - მარტო თუჯის უკანალი და გაბოროტება, გაბოროტება მთელი სამყაროს მიმართ?!. (ოლგა მკვეთრად დგება, შერბის საკუჭნაოში, რაღაც დროის შემდეგ შემოაქვს ძველი, გაცრეცილი საკვიაჟი, ანა კარში გაირინდება.) ან იქნებ მას რცხვენოდა, რომ ამდენი ფული ქონდა და მთელი ცხოვრება მათხოვრად მოქონდა თავი?!

(პაუზა.)

ანა: - საიდან... საიდან იცი?..

ოლგა: - ლომის უკანალიდან! ეს ბებიას ნივთებია. ის მაჩვენებდა ხოლმე. ეს ჩემი მზითვეია. (პაუზა. ოლგა ანას შეჰყურებს.) უჰ. როგორ შეცბი, პირდაპირ კანკალებ!.. ე მანდ გული არ წაგივიდეს... პოლიციის გამოძახება გინდოდა, - მიდი, რაღას უცდი, დარეკე! მათ აქ ბევრი საინტერესო რამ ელით... გინდა, მე თვითონ დავრეკავ?

(პაუზა.)

ანა: - არა.

ოლგა: - უკვე აღარ გინდა?

ანა: -არა!

(პაუზა.)

ოლგა: - მოდი ვნახავ, ყველაფერი ადგილზეა თუ არა... (სწრაფად გადმოაპირქვავებს საკვოიას მისაღები ოთახის მაგიდაზე, - ბიჟუტერია, სუვენირები, რაღაც ქალაღები. ანა ისევ დაავლებს ხელს სამზარეულოს დაფას. ოლგა არ უყურებს.)
შენ მაგ დაფასთან ფრთხილას იყავი, განა ცოტა რამ შეიძლება მოხდეს. უცხად თუ არ მომკლავ, ყვირილს დავიწყებ, ხმაურს ავტებ... ნაგავია რაღაც, ეშმაკმა დასწყევლოს, სადაა გულსაბნევი?... ჩემი გულსაბნევი სადაა? შეჭამეთ?!

ანა: - არა...

ოლგა: - მაშ, სადაა?

ანა: - იქ...

ოლგა: - სად იქ...

ანა: - იქ... შეხვეულია...

(ოლგა ხსნის საღვთიქებს, ბოლოს და ბოლოს ნახულობს გაცრეცილ ფუტლიარს რომელშიც დევს იშვიათი სილამაზის ძველებური გულსაბნევი.)

ოლგა: - აი ისიც!.. (პაუზა.) იწვის...იწვის!.. ღმერთო ჩემო, რა სილამაზეა, თვალს ვერ მოსწყვეტ!.. არც მეგონა, რომ ასეთი იყო... მხოლოდ ერთხელ ვნახე. მახსოვს ბევრი ბრჭყვიალება... მაშინ უშველებლად დიდი მომეჩვენა! ბებია ამბობდა, - ძველიაო, საგვარეულო...

(პაუზა.)

ანა: - მე არ მაჩვენებდა.

ოლგა: - იცოდა, რომ დედას ჩაუკაკლავდი. ბოლოს მაინც ყველაფერი უთხრა... ღმერთო, რა ლამაზია!.. თქვი, ხომ ლამაზია? ლამაზია, ხომ?... აჰ, რა არის შენთვის სილამაზე, - მხოლოდ ცარიელი ბგერა... (მკვეთრად) დააგდე დაფა!.. დააგდე-მეთქი ეგ ეშმაკისეული!! აბა!!! (ანა ფრთხილად დებს დაფას.) ასე... (პაუზა. გულსაბნევს შესცქერის) შეგიძლია მეტი არც არაფერი ჩაიცა, - გულსაბნევი და ფეხსაცმელი და დედოფალი ხარ!.. ტანადობასაც კი მნიშვნელობა არა აქვს. არა, რა თქმა უნდა, სასურველია რამე წესიერი... ღმერთო ჩემო, რა კარგია!.. მიხარია, როგორც უკანასკნელ იდიოტს!.. არასოდეს ეს არ მალეღვებდა, სულ ერთი იყო ჩემთვის მთელი ეს ნაგავი, ახლა კი თვალს ვერ ვწყვეტ! რა მემართება? (იციინის.)

(პაუზა.)

ანა: - მოგწონს?

ოლგა: - რა?

ანა: - გეკითხები, - მოგწონს-მეთქი?

ოლგა: - ვინ?

ანა: - გულსაბნევი?

(პაუზა.)

ოლგა: - საერთოდ არც ისე. და რა არის რო?

ანა: - მე სერიოზულად გეკითხები.

ოლგა: - ჰო? ასე? არც ვიცი რა ვთქვა... მის გამო ჭკუაზე არ ვარ, - მოსულა?

ანა: - რა?

ოლგა: - გეუბნები, - ასეთი პასუხი მოსულა?

ანა: - მოსულა. (პაუზა.) მისმინე ოლგა...

ოლგა: - აჰა?

ანა: - თუ შეიძლება ფანჯარა დაკეტე... უბერავს...

ოლგა: - ფანჯარა? ის ხომ დაკეტილია...

ანა: - მართლა? ჰო... მართალია... მადლობა...

ოლგა: - არაფრის.

(პაუზა.)

ანა: - ოლგა...

ოლგა: - რა? რაშია საქმე? რას აჯანჯლებ?

ანა: - ოლგა... ეს ხომ ჩემი მზითველია...

ოლგა: - ნუ მართლა?

ანა: - დიახ, დიახ! ბებია ანდრეი არ დატოვა, როგორც გესმის... არ არსებობს არც წერილი, არც რამე ჩანაწერი...

ოლგა: - მას თქვენი წესიერების იმედი ქონდა...

ანა: - მე შევინახე... ყველაფერს მოვუფრთხილდი... ყველაფერს... ხომ გესმის მე დიდი ხნის წინ შემემლო ეს ყველაფერი ფულად მექცია, შემეჭამა, გამეფლანგა, ბოლოს და ბოლოს შემემლო სამსახურისთვის თავი დამენებებინა და უბრალოდ მეცხოვრა... შენ მართალი ხარ, - მე ცუდი ექიმი ვარ, მაგრამ ამაში დამნაშავე არ ვარ. დედამ გადაწყვირა ჩემი ბედი... მაგრამ... საქმე ამაში როდია... ამაზე არ ვლაპარაკობ... მისმინე... მომისმინე...

ოლგა: - გისმენ.

(პაუზა.)

ანა: - ვხედავ როგორ მოგწონს... მეც მომწონს... შეუძლებელია არ მოგწონდეს...

ოლგა: - მერე რა?

ანა: - აილე... წაილე!.. ოლგა!.. ეს ფულია... დიდი ფული!.. დიდხანს გეყოფა, თუ ჭკუით მოიხმარ!.. აილე და წადი. გთხოვ... წადი.

(პაუზა.)

ოლგა: - რა?

ანა: - გთხოვ...

ოლგა: - რა ამაღელვებელია... შენ ქრთამად მთავაზობ ჩემსავეს და ამასთან მწუხარე სახით, რათა დაგიჯერო თუ როგორ გიჭირს მასთან განშორება?... მჯერა!

ანა: - ოლგა...

ოლგა: - ბარემ იტირე კიდევ!.. ესლა გვაკლია!... მიდი, რას კარგავ? იქნებ ყურები ჩამოვყარო, ყველაფერზე უარი ვთქვა, კისერზე ჩამოგეკიდო, პატიება გთხოვო, უღირსმა, დაცემულმა, ჭუჭყიანმა!.. (პაუზა) რა? არ გეტირება? უჰ, მთლად გათეთრდი, ვეშაპო, ცოტაც და კბენას დაიწყებ!.. ეს ჩემი ნივთია, გასაგებია! ჩემი!.. ბებომ ჩემთვის შემოინახა! იმან თავისი ბებიისგან მიიღო, იმან თავისიგან! შენ კი გინდა მე პირველსავე ვაჭრუკანას მივაჩეჩო, რომ მთელი ვაგონი ძებვი ვიყიდო, ან

ცისტერნა არაყი, ან კიდევ რაღაც მსგავსი?!. გგონია ეშმაკებამდე გავლოთდი, ჩემთვის უკვე სულერთია, ველარ ვაზროვნებ და ყველაფერს ბოთლის ფერებში ვხედავ?!.
ანა: - რა გინდა ჩემგან?!

ოლგა: - სამართლიანობა. მე მინდა სამართლიანობა!..

ანა: - არ მესმის...

ოლგა: - ჩემი წილი მჭირდება! (პაუზა.) შენ შენი უკვე მიიღე.

ანა: - როდის?

ოლგა: - არ გახსოვს?

ანა: - არა.

ოლგა: - როგორც ჩანს ეს შენა გაქვს ქალწულის მეხსიერება!

ანა: - მე რა მივიღე?

ოლგა: - ცხოვრება, მამლარი, კეთილმოწყობილი ცხოვრება, სახლი, ოჯახი, შვილები, კარიერა - ეს რა, შენი აზრით, არაფერი ღირდა?..

ანა: - მაგრამ ეს ყველასა აქვს... რომ არ სვამდე, - შენც გექნებოდა...

(პაუზა.)

ოლგა: - იცი, ანიკო, ვის არ ეშინია ციხის?..

ანა: - ვის?

ოლგა: - ის ვერასოდეს გაიგებს რა არის სახლი, ვინც უსახლკარო არ ყოფილა, ვისაც სხვათა ჭერქვეშ არ უხეტიანია, ვინც არასოდეს შემუდარებია ძალღატაკის მოპატრონეს მოეთმინა ერთი-ორი დღე, რადგან არაფერი გააჩნია რომ ქირა გადაიხადოს! მუდმივად არ გააჩნია არაფერი!

ანა: - არყის ფული ხომ იყო...

ოლგა: - რა?

ანა: - როგორ მძულხარ...

(პაუზა.)

ოლგა: - (შშვიდად) ღმერთო, ღმერთო... ნუ თუ ეს შენა ხარ, ჩემი და? ადამიანი, რომელზე მახლობელიც არავინ მყავს, არავინ მთელს სამყაროში... ნუ თუ შენთან ერთად მეძინა ერთ ოთახში, ეს შენ მიწნავდი თმას... ეშმაკმა წამიღოს, ნუ თუ ეს სიმართლეა?..

ანა: - სიმართლეა.

ოლგა: - მე ხომ ყველაფერი, ყველაფერი გაპატე. შენი დაცინვები, დედის უსიყვარულობა და ქმარიც კი. მე გაპატე. ყოველთვის ვპოულობდი ჩემს თავში ძალას, გამემართლებინე.. აი სულელი... რა სულელი ვარ, ღმერთო!.. (გულსაბნებს მაგიდაზე დებს. ტირის) მომეცი... მომეცი გეთაყვა ცხვირსახოცი... თვალის საღებავი მდის...

ანა: - აჰა! (სამზარეულოს პირსახოცს მიუგდებს, სწრაფად შეახვევს გულსაბნევს და მაღავს.)

ოლგა: - გმადლობ...

ანა: - არაფრის...

ოლგა: - ოჰ, ღმერთო! უნდა დავიბანო!.. (ოლგა ცდილობს ადგეს. ანა მაგრამ უჭერს ხელს იდაყვებზე) გამიშვი, გამიშვი! რას აკეთებ?! გამოშვი-მეთქი, მტკივა!..

ანა: - გაგიშვებ, თუ კი ახლავე წაეთრევი აქედან.

ოლგა: - ანა! ანა!.. თვალები მტკიცია!

ანა: - ახლა პირს დაიბან და წახვალ. წაიღებ შენს მზითევს. არა!.. არა... უკეთესია აქ დარჩეს!.. აქ უფრო საიმედოდაა!.. მე კი ყოველთვის ურად ფულს გამოგიგზავნი! შენივე სიკეთისთვის, რომ ყველაფერი ერთბაშად არ გაფლანგო! გესმის? შენ გესმის ჩემი?!

ოლგა: - ჰო... ჰო...

ანა: - მოვილაპარაკეთ?.. გეკითხები, - მოვილაპარაკეთ?..

ოლგა: - ანიკო!

ანა: - ჰო თუ არა?

ოლგა: - ჰო! ჰო! ჰო... ო ღმერთო, ეს რა არის?..

ანა: - (წამოაყენებს და გასასვლელი კარისკენ უბიძგებს) წადი.

ოლგა: - თვალები უნდა დავიბანო...

ანა: - გარეთ დაიბან. წავედით, აბა!

ოლგა: - მიოცა, მოიცა-მეთქი! მეწვის!!

(ოლგა ხელიდან უსხლტება, როგორც ბრმა ისე ბარბაცებს, კედელს ეჯახება, ვარდება, როგორც მკვდარი.)

მეორე მოქმედება

(პაუზა.)

ანა: - შენი დედაც... (პაუზა) ესლა გვაკლდა. (პაუზა. ჯდება) ღმერთო... (პაუზა) ღმერთო... საით მივექანებით... (პაუზა. დივანზე წვება) ახლა რაღა იქნება? (პაუზა) ტუჩი გამისივდა... ხვალ ასეთი სიფათით სად წავალ?.. (პაუზა) აქამდეც მივედით! (პაუზა) ვერც გამოვიძინე... უკვე ველარც გამოვიძინებ... (პაუზა) ღმერთო, რისთვის? (პაუზა) იქნებ ჯერ კიდევ ცოცხალია?.. (პაუზა) ეშმაკმაც წაიღოს... (პაუზა) ჰეი... ცოცხალი ხარ?.. (ოლგა გაუნძრევლად წავს. პაუზა) მოკვდა... (პაუზა) შეუძლებელია! (დგება, ოლგას უახლოვდება) ჰეი! ჰეი, შენ! (გულს უსმენს) სუნთქავს... ხომ სუნთქავს! (გადაათრევს ოლგას დივანზე, ლოყებზე ურტყამს) ოლგა!.. ოლგა!!!. ოლგა, გონს მოდი, შენი დედაც!.. ოლგა!!!. (ოლგა თვალებს ახელს) ოლგა, ცოცხალი ხარ?!

(პაუზა.)

ოლგა: - ცოცხალი ვარ.

ანა: - მადლობა ღმერთს!

(პაუზა.)

ოლგა: - მე ცოცხალი ვარ...

(პაუზა.)

ანა: - რამე მოგცე?

ოლგა: - მომეცი.

ანა: - რა?

ოლგა: - საწამლავი.
ანა: - რა?
ოლგა: - შენ ხომ ექიმი ხარ?
ანა: - მერე?
ოლგა: - საწამლავი გაქვს?
ანა: - მაქვს.
ოლგა: - მომეცი.
(პაუზა.)
ანა: - რისთვის?
ოლგა: - მჭირდება.
ანა: - რისთვის გჭირდება?
ოლგა: - მინდა ჩავძაღვდე.
ანა: - რა?
ოლგა: - ნუ გეშინია, - ვერავინ გაიგებს. მე შორს წავალ. ტყეში. სიცოცხე აღარ მინდა. **(პაუზა)** თვალეები მტკივა.
ანა: - მიდი, დაიბანე.
(პაუზა.)
ოლგა: - არ შემოდლა. ვიწვები.
ანა: - კარგი. იწევი... **(მოაქვს ახალი, სველი პირსახოცი.)** აი.
ოლგა: - ეს რა არის?..
ანა: - სველი პირსახოცი. თვალეები მოიწმინდე...
ოლგა: - არ მინდა... თვალეები...
ანა: - აილე...
ოლგა: - არ მიდა.
ანა: - აილე.მეთქი!
(პაუზა. ოლგა პირსახოცს იღებს.)
ოლგა: - მადლობა... **(თვალეებს იწმინდავს)** პირსახოცი დავსვარე... გადასაგდები გახდა...
ანა: - გტკივა?
ოლგა: - რა?
ანა: - თავი გტკივა?
ოლგა: - მტკივა.
ანა: - დაეცი.
ოლგა: - დავეცი... მე დავეცი...
(პაუზა.)
ანა: - თვითონ ხარ დამნაშავე...
ოლგა: - არ იჯავრო... არაფერი დაგიშავდება, მოგატყუე... ჩემისთანების გამო არ იჭერენ. ჩააგდებენ ორმოში და საქმეც გათავებულია. არ იდარდო.
ანა: - არ ვდარდობ...
ოლგა: - ყველაფერი მოვიტყუე. არანაირი მეგობარი არ მყავს... და საერთოდ... არაფერია... **(პაუზა)** მიმიფურთხებია... **(პაუზა)** ოცნებას ავყევი! სახლი, ოჯახი... რა

ოჯახი? რის ეშმაკის ოჯახი?.. ჩემგან არაფერიც არ გამოვა... არ მინდა არანაირი მზითვევი, და საერთოდ, არაფერი არ მინდა... კარგი... მდიდრულად არ გვიცხოვრია, - საწყევარიც არაფერია! (პაუზა) ახლავე, ახლავე... მე ვიჯდები ცოტა ხანს და წავალ... ახლავე...

ანა: - სად?

ოლგა: - რა?

ანა: - სად წახვალ?

ოლგა: - სადმე... სულერთია... აღარ შეგაწუხებ... არ შეგეშინდეს.

ანა: - მე არც მეშინია.

ოლგა: - ჰო და, ძალიანაც კარგი...

(პაუზა.)

ანა: - ყავა გინდა?

ოლგა: - არა. (პაუზა) იცი რა მინდოდა მეთხოვა,,

ანა: - რა?

ოლგა: - ფოტოები...

ანა: - რა?

ოლგა: - ფოტოები მინდა წავიღო...

ანა: - ეს კიდევ რომელი ფოტოები?..

ოლგა: - ჩემი ბავშვობის... დედა, მამა... შენ ხომ ისინი...

ანა: - სადღაც აქაა.

ოლგა: - ბევრი არ მინდა. თითო-თითო... (პაუზა) მომცემ?

ანა: - მოგცემ.

ოლგა: - კარგი.

(პაუზა. ანას გამოაქვს დიდი მტვრიანი ალბომი.)

ანა: - აჰა. თუ გინდა, სულ წაიღე.

ოლგა: - ამდენი რად მინდა, ვერსად შევინახავ... (ოლგა უხეხულად იღებს ალბომს, ის ძირს ვარდება და ფოტოები იატაკზე გაიბნევა) ოჰ, ჯანდაბა!.. მაპატიე...

ანა: - კარგი, ჰო...

ოლგა: - ავკრიფავ...

ანა: - იჯექი-მეთქი!

(ანა ფოტოებს დივანზე ყრის, ოლგა ათვალიერებს.)

ოლგა: - ეს რა უცხო სახეებია? ეს ვინაა?

ანა: - ეს ლიდაა. ჩემი მეგობარი. ჩვენ ერთად ვიყავით სამხრეთში. დედა, მამა, მე და ლიდა.

ოლგა: -მე არ წამიყვანეთ...

ანა: - შენ პატარა იყავი...

ოლგა: - ტრაწი არაა, ესე იგი ოქროა... (პაუზა.) აი მე... ველოსიპედით გამხდარი...

ანა: - ლამაზი...

ოლგა: - ლამაზი, აბა!

ანა: - თავს ნუ ისაწყლებ. შენ ყოველთვის ლამაზი იყავი. მზეთუნახავი. მე მახინჯი...

ოლგა: - შენ?

ანა: - რა, არ თქვა არაო...

ოლგა: - არა.

ანა: - გინდა თქვა, რომ ეს ცხვირი და ეს თითები რამეს გვანან?! და ჩემი ფეხები?.. გინახავს როდესმე ჩემი ფეხები?.. (ხალათს გადაიწეცს.) მიდი, შეხედე! აბა?..

ოლგა: - რა?

ანა: - რას ხედავ მანდ?

ოლგა: - ფეხებს...

ანა: - არა. ეს ფეხები არაა. ეს შეშაა! სვეტები! კოლონადა. მაგრამ არა ფეხები!!!. ვინ, ვინ ისურვებს მათ?!. ვინმე ბრმა ან შერევილი?..

ოლგა: - მან ხომ ისურვა.

ანა: - ვინ?..

ოლგა: - შენმა ქმარმა.

ანა: - დამცინი?..

ოლგა: - რატომ?.. ის შენი ქმარია..

ანა: - ჩემი დამცირება გინდა? დარტყმა?! .. დამარტყი! მიდი, სახეში შემაფურთხე. თვალებში, მე ეს დავიმსახურე!.. იმიტომ რომ შენი ცხოვრებით ვიცხოვრე, შენ გესმის, შენით! შენ ლამაზი იყავი, ნიჭიერი, ყველაფერი გამოგდიოდა, რისთვისაც ხელი არ უნდა მოგეკიდა!.. მუსიკალურ სკოლას თავი დავანებე მხოლოდ იმიტომ, რომ შენც იქ სწავლობდი! შენ, ჩემი უმცროსი და კონცერტებს უკრავდი, როცა მე ძლივსძლივობით ვაცოდვილებდი ეტიუდს! შენით ყველა აღფრთოვანებული იყო, ყველას უყვარდი, ყველას, ძალღებსაც კი, მე კი... მე ბოღმით ვიღრჩობოდი!.. დიახ, მართალი ხარ, დედას, მამას შენს წინააღმდეგ ვამხედრებდი, მე შენი დახრჩობაც კი მინდოდა ბალიშით, სანამ გეძინა! გეფიცები, მინდოდა შენი მოკვლა, მეგონა, რომ შენშია ბოროტების ფესვი, ყველა ჩემი უბედურების მიზეზი! მეგონა, - თუ შენ გაქრებოდი, - ჩემზე ოქროს წვიმა გარდამოვიდოდა და ყველა, მთელი სამყარო შემიყვარებდა მე ერთასერთს!.. დედა ბავშვობიდან მიმტკიცებდა, რომ ასეთი სხეულით არავის ვჭირდებოდი! ის გრძელ ქვედაბოლოებს მიკერავდა, რათა არ დაენახა ჩემი ფეხები, ის მაღავდა ჩემს გამხდარ მკერდს სულელური, ფაშფაშა კოფთებით! ჰო, მე მიყვარდა დედაჩემი, მაგრამ ამის გამო, შემძულდა!.. ხედავ, რამდენი ბოღმაა ჩემში, - მე არავინ მეცოდება! საკუთარი თავიც კი!.. (პაუზა) ერთხელ რაღაც ფილნში ვნახე, სადაც ადამიანებს გაზით წამლავდნენ. ღამით სამზარეულოში შევედი და გაზი გავაღე. მინდოდა ყველა მომეწამლა, ყველა!.. (პაუზა) მამამ სუნი იგრძნო და გაეღვიძა. ყველა გადარჩა.. (პაუზა) მე მალე ორმოცდაექვსი წელი შემისრულდება... მალე ორმოცდაექვსი წელი შემისრულდება, მე კი ერთი წუთიც არ მიცხოვრია... ერთი წამიც კი!.. მთელი ამ წლების მანძილზე, ჩემთვის ყველაზე ტკბილი სიზმარი იყო ის, სადაც დიდი სიმაღლიდან ვენარცხები ასფალტს. ვენარცხები, ვენარცხები... ვენარცხები... მე მიფრინავ იქეთ, სადაც მთავრდება ჩემი ტანჯვა, სადაც არაფერი და არავინ აღარაა. მარტო უკუნი... უკუნი და სიმშვიდე... (პაუზა) სიყვარულის არცერთი ამოსუნთქვა, არცერთი სიტყვა... მე ცხოვრება გავლიე შენს ქმართან. ჰო, შენ მართალი ხარ, ის შენი ქმარია. ეს შენი სიყვარული უნდოდა მას, იცდიდა, ეს შენ

წარმოგიდგენდა ჩემს ადგილას, როცა აკანკალებულ ხელს აფათურებდა ზეწრის ნაოჭებში!.. მე არ მიყვარს ჩემი შვილები. იმიტომ, რომ ისინი მისი შვილები არიან, შენი შვილები არიან! არ მაინტერესებს რა დაემართებათ მათ, როგორ აეწყობათ ცხოვრება, მიმიფურთხებია!.. (პაუზა.) ეს მე არ გამაჩნია არაფერი. არაფერი!.. მე მხოლოდ ჩემი წარსული მაქვს. შორეული, დამახიჯებული წარსული. აჩრდილთა სამყარო, წყეულიმც იყოს იგი!.. მე არაფერი მსურს, - არც ფული, არც ხალხი, მხოლოდ ერთი მინდა, - დავიძინო! დავიძინო და არ გამეღვიძოს! ძილი!.. ძილი მინდა!!! (პაუზა) ნუ გაქვს ასეთი სახე, რა საჭიროა. თვითონ მოხვედი ჩემთან, მე არ დამიძახნია. მე არ მჭირდება შენი თანაგრძნობა, ეშმაკმაც წაგიღოს მაგ თანაგრძნობით, ტრაკში შეიტენე!.. მე არაფერი მინდა, რადგან ვიცი, - ვინ ვარ მე!

ოლგა: - ვინ ხარ?

ანა: - არავინ! (პაუზა) არც იფიქრო ჩემი შეცოდება. არ გეგონოს თავს ვიმართლებდე, ან კომპლიმენტების მირება მსაურდეს! არა! მე არაფერს არ ვნანობ! არაფერს! მე ცოტა გავაკეთე, შემედლო მეტი გამეკეთებინა, მაგრამ ისიც კი რაც გავაკეთე, ორ სიცოცხლეს ეყოფა!.. ყველას ვემახსოვრები... (ანა იატაკზე ჯდება, ფეხებს გაშლის) ერთი სიგარეტი მომიტანე...

ოლგა: - რა?

ანა: - მე გითხარი, -სიგარეტი მომიტანე-მეთქი!.. და ლუდი, თანაც სწრაფად!!!

ოლგა: - კარგი...

(**ოლგა ბარბაცებს, სამზარეულოში დაფათურებს.**)

ანა: - შენ ხომ მე საერთოდ არ მიცნობ... რაა შენი ფანტაზიები ჩემთან შედარებით, - მხოლოდ ჩმახვია! თუ ავიწყვითე, ქვა ქვაზე არ დარჩება, სველი ადგილიც კი არსად იქნება, - ყველაფერი აორთქლდება!.. (ოლგა ბრუნდება) მოიტანე?..

ოლგა: - მოვიტანე...

ანა: - მომეცი. შენ არ გთავაზობ, - დიდი პატივია!.. სიგარეტი!.. (ოლგა სიგარეტს აწვდის.) ეს რა არის?..

ოლგა: - რა?

ანა: - რას მაძლევ?

ოლგა: - სიგარეტს...

ანა: - მოუკიდებელს?!. შენ მე ვინ გგონივარ?!.

ოლგა: - არავინ არ მგონიხარ...

ანა: - მოუკიდე!..

ოლგა: - კი ბატონო...

(**უკიდებს.**)

ანა: - ეს სხვა საქმეა... სხვა კომპოტია!.. (პაუზა. ეწევა.) აბა, დაიკო, ჯერ კიდევ არ გადაგიფიქრებია აქ ცხოვრება?.. მიდი! იცხოვრე!.. მოიყვანე ვინც გინდა, ყველა მეგობარე მორეკე, მთელი ნაგავი!.. აქ ბევრი ადგილია, - ყველა დაეტევა! ყველას რეიტუბებში გამოვაწყობ, - ძვირი არ დამიჯდება, არ იჯავრო! მოიყვა აქ ყველა ეს მყრალი ძაღლიშვილი, - ჩვენ აქ მოვაწყობთ „საუზმეს ბალახზე“! ჭერამდე ავურევთ აქაურობას! დაე ჩემმა ქმარმა, იმ საცოდავმა ჟღვინტილიანმა, ნახოს, ბოლოს და ბოლოს გაიგოს ვისთან ცხოვრობდა მთელი ეს წლები!.. დავწვათ ეს ავეჯი, ეს მტვერიანი

ყველასთვის უსარგებლო წიგნები, ჩავაფსათ ბროლის ვაზებში, ვიტყნაუროთ სტვენა-სტვენით!.. რას იტყვი? ა?.. რას გაჩუმდი?.. როგორ მოგწონს იდეა?.. არაუშავს?!.. (წამობტება, მირბის სეკრეტერთან) აბა, რამდენი მაქვს წიგნაკზე ფული?! (ქალაღღებში იქექება, ბოლოს პოულობს.) ო-ო-ო!!! აქ მთელი ქონებაა!.. ახლა დამაცადე! (ხალათს იძრობს, იცვამს)

(პაუზა.)

ოლგა: - ანა...

ანა: - შემეშვი...

ოლგა: - ანა, დღეს...

ანა: - (მოუთმენლად) რა? რა დღეს?

ოლგა: - დრეს კვირაა...

ანა: - მერე რა?..

ოლგა: - ბანკი დაკეტილია...

ანა: - და ეშმაკსაც წაუღია!..

ოლგა: - შენ არ გესმის...

ანა: - რა?!

ოლგა: - ჰო... ჰო...

(პაუზა.)

ანა: - ფუ, ჯანდაბა!,, (პაუზა.) ეშმაკმა დასწყევლოს... (პაუზა.) აი ასეა ყოველთვის... (პაუზა. ანა ჯდება და თავს ხელებზე დაუშვებს, მხრები უცახცახებს.) დაწყევლილი ლული... მაგისგან სიმჟავე მაქვს. (პაუზა) გასტრიტი... (პაუზა) დავიღალე... ყველაფრით დავიღალე... (პაუზა) შენით, ჩემით... (პაუზა) დავიღალე... (პაუზა) ღმერთო ჩემო... რა სისულელეა ეს ყველაფერი... რა სისულელეა... (პაუზა) ღმერთო...

ოლგა: - რა?

ანა: - ყველაფერი... ყველაფერი. რად მინდა მე ეს ყველაფერი?.. არ ვიცი რა მოვუხერხო?.. შენ, ამ ცხოვრებას... ამ ფეხებს... (პაუზა) მიყვარდი... ოდებღაც, ძალიან ადრე... როცა შენ მხოლოდ დაიბადე... ისე მიყვარდი, თითქოს მე გაგაჩინე... გასწავლიდი სიარულს, ლაპარაკს, სიმღერებს... სასაცილო იყავი, სულ იცინოდი... (პაუზა) მიყვარს ის დრო. ის ჩემთვის არ დასრულებულა... მგონი ეს ერთადერთია, რაც მიყვარს. (პაუზა. ოლგას შესცქერის) შენ ახლაც სასაცილო ხარ... ზღარბს გაგხარ... მე კი ნიანგს...

ოლგა: - ზღარბს?

ანა: - ჰო. სწორედ იმას, გახსოვს, მამამ რომ ტყიდან მოიყვანა... ისიც ასეთივე სასაცილო იყო,, დაბორილებდა მთელი ღამე, იფხაჭნებოდა ბრჭყალებით, - ციპ-ციპ-ციპ... დედას უნდოდა გაეჩუქებინა, მაგრამ ჩვენ შევეხვეწეთ და დატოვეს... მთელი დღე დაგორგლილი იყო, საღამოს კი მოვიდოდი სკოლიდან, დავუდგამდი რძეს, გაიშლებოდა, მერე გამოყოფთა თავის პატარა ენას და სვამდა... ხვანხვალეებდა... ყველაფერს მოთხვრიდა... და ცხვირს როგორ აცემინებდა! სასაცილო! შემპრებოდა დივნის ქვეშ, მტვერში და აცემინებდა... (იცინის.)

ოლგა: - მამამ ის მე მომიყვანა. შემოდგომაზე, დაბადების დღეს. ავად ვიყავი. ლოგინში ვიწექი, - მან ზღარბი მომიყვანა და მე გამოვკეთდი... მან ჩვენთან თითქმის

ორი თვე იცხოვრა, მერე ჩემმა მეგობარმა მეზობელი სახლიდან, შურის გამო სპიციტ მუცელი გაუხვრიტა და ის მოკვდა.

(პაუზა.)

ანა: - არანაირ მეგობარს ეგ არ უქნია.

ოლგა: - ჰა?

ანა: - ეს მე გავაკეთე.

(პაუზა.)

ოლგა: - რა?

ანა: - მე გავუხვრიტე მას მუცელი.

ოლგა: - შენ?..

ანა: - დიახ. მე.

ოლგა: - რისთვის?..

ანა: - იმიტომ, რომ მე დაბადების დღეზე წიგნი მაჩუქეს. მკვდარი, სულელური წიგნი, რომელიც არცერთხელ არ გადამიშლია.

(პაუზა.)

ოლგა: - რატომ მითხარი ეს?..

ანა: - უბრალოდ. რომ იცოდე.

ოლგა: - რა?..

ანა: - რომ იცოდე, - ვინ ხარ შენ და ვინ მე. (პაუზა) მოიდუღე ყავა კიდეც, თუ გინდა. ნუ გერიდება, ისე მოიქეცი, როგორც სახლში! ახლა ეს უკვე შენი სახლია, შენი ცხოვრება... გადაადგილე ყველაფერი, როგორც მოგესურვება, თუ გინდა გადაყარე, - წინააღმდეგი არ ვარ!

(პაუზა. ანა დგება.)

ოლგა: - და შენ?.. შენ რას გააკეთებ?..

ანა: - დავიძინებ. დავიძინებ და სიზმრებს ვნახავ.

ოლგა: - ცუდად ხარ?

ანა: - არა. კარგად ვარ!

ოლგა: - იტყუები?

ანა: - არა. სიმართლეა. აქ მოგეწონება! აქ მხიარულება! შენ ხომ გიყვარს მხიარულება?

ოლგა: - მიყვარს...

ანა: - ყველაფერს შენ გიტოვებ.

ოლგა: - ანა!..

ანა: - ეშმაკმაც წაგიღოს!.. (ანას გამოაქვს კარადიდან საკუთარი ნივთები და იატაკზე ყრის.) ჰო, იმ ნაბიჭვარ ჩემს ქმარს სასმელი ბევრი არ მისცე. ის შენზე უარესი ლოთია, ოღონდ წყნარი, შინაური, - ეს კიდეც უარესია. (საკუჭნაოდან გამოაქვს მტვერიანი ჩემოდანი, მიმოიხედავს) ნუ, მგონი მორჩა...

ოლგა: - ანა, მოიცა...

ანა: - კიდეც რა არის?!

ოლგა: - ანა, მე ასე არ მინდა!..

ანა: - მე მინდა! ძალიან მინდა! დიდი ხანია გელოდი, დიდი ხანია! მხოლოდ ახლა მივხვდი როგორ მინდა ამ ყველაფერისგან განვთავისუფლდე!.. ვიცხოვრო საკუთარი სიამოვნებისთვის!.. თუნდაც სადმე, სადმე, სულ ერთია სად, ოღონდ მხოლოდ საკუთარ თავზე ვაგებდე პასუხს, მხოლოდ საკუთარი თავი მიყვარდეს!.. მორჩა!.. ჩემგან საკმარისია!.. (პაუზა) გულსაბნევს მე წავიღებ! შენ სამართლიანობა გინდოდა, - ახლა ყველაფერი სამართლიანადაა! სახლი ქმრით შენ, გულსაბნევი - მე!

ოლგა: - შენ... შენ, მართლა წასვლა გინდა?..

ანა: - არა. ეს ხუმრობაა. გათამაშება. სასაცილოა, არა?

ოლგა: - სასაცილო...

ანა: - ახლა შენი ჯერია. მიაწევი! მე საშობაო ბარათებს გამოგიგზავნი. სხვას არაფერს ელოდო!..

ოლგა: - მერე ბავშვები?..

ანა: - ისინი დიდები არიან, მათ არ ვჭირდები. მე საკუთარ თავსაც კი არ ვჭირდება! არავის არ ვჭირდები!...(აღებს ჩემოდანს და აწყობს ნივთებს.)

(პაუზა.)

ოლგა: - ანა... ანა... (ანა არ უსმენს) ანა!.. და გაჩერდი, ეშმაკმა წაგიღოს!

ანა: - ყველამ უნდა აგოს პასუხი საკუთარ სიტყვებზე. შენ ეს გინდოდა, - მიიღე!

ოლგა: - მე ეს არ მინდოდა!..

ანა: - შემეშვი! ვისი მოტყუება გინდა? შეიძლება მე უვარგისი ექიმი ვარ და მედიცინაში არაფერი მესმის, მაგრამ შენ კარგად გიცნობ. ყველაფერი, ან არაფერი, - აი შენი დევიზი! შენ რა, სერიოზულად ფიქრობ, რომ ჩვენ ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას შევძლებთ?

(პაუზა.)

ოლგა: - არ ვიცი...

ანა: - ეჭვი გეპარება?

ოლგა: - არა...

ანა: - მაშასადამე ვინმე უნდა წავიდეს?

ოლგა: - ჰო, მაგრამ...

ანა: - არავითარი მაგრამ. ან შენ, ან მე. (პაუზა) მე მივდივარ.

(პაუზა.)

ოლგა: - შენ შეშლილი ხარ...

ანა: - მერე როგორი!.. შენ ვერც კი წარმოიდგენ!..

ოლგა: - მაშინ მე წავალ!

ანა: - ან შენ, ან მე!..

ოლგა: - ჯანდაბამდე გზა გქონია!

ანა: - ან შენ, ან მე!!!..

ოლგა: - ანა!!!..

(პაუზა. დები პირისპირ ჩერდებიან, ერთმანეთს უყურებენ.)

ანა: - აი!.. აი ისიც! როგორც იქნა აღსრულდა!

ოლგა: - რა?

(პაუზა.)

ანა: - აი ისიც!

(პაუზა.)

ოლგა: - რა აღსრულდა?..

(პაუზა.)

ანა: - ბოლოს და ბოლოს... (პაუზა) ახლა უკვე ნამდვილად მტერები ვართ. (პაუზა) აბა? გადაწყვიტე?.. გავაგრძელოთ?.. (პაუზა) დიახ თუ არა?.. (პაუზა) რას დუმხარ?.. ვიჩხუბოთ?.. დავგლიჯოთ ერთმანეთი?.. (პაუზა) რა ვქნათ?..

(პაუზა.)

ოლგა: - მოიცა... (პაუზა) მოიცა...

ანა: - აბა?..

ოლგა: - მოდი ცოტა ხნით ჩამოვჯდეთ...

ანა: - რა?..

ოლგა: - უბრალოდ დავსხდეთ...

(პაუზა.)

ანა: - მოდი... (გვერდიგვერდ სხდებიან. ხანგრძლივი პაუზა). კარგად ვსხედვართ.

ოლგა: - ჰო. (პაუზა) მხოლოდ თავი მტკივა...

ანა: - მე კი სიფათი.

ოლგა: - ეგეც კარგია.

ანა: - რაა კარგი?

ოლგა: - დრო მუქთად არ დაგვიკარგავს.

ანა: - გავიგულავეთ. (პაუზა). რა სიცივია ჩვენთან...

ოლგა: - შეგცივდება აბა რა, ღამის პერანგით ზიხარ.

ანა: - მაპატიე. გამოპრანჭვის დრო არ იყო... (ხალათს მოიცვამს) მაინც ცივა...

(პაუზა.)

ოლგა: - შემოდგომაა.

(პაუზა.)

ანა: - შემოდგომა...

(პაუზა.)

ოლგა: - მე მიყვანს შემოდგომა...

ანა: - მე კი მძულს.

(პაუზა.)

ოლგა: - მისმინე, აქ მორიგე აფთიაქი არის?

ანა: - არის. მერე რა?

ოლგა: - ბოდიაგისთვის მინდა ჩასვლა.

ანა: - რისთვის?

ოლგა: - ბალახია ასეთი, სილურჯეს შველის...

(პაუზა.)

ანა: - ბოდიაგა?

ოლგა: - ბოდიაგა.

ანა: - მე კი მეგონა, - ეს ჩვენი ცხოვრებაა...

(იციინან.)

ოლგა: - რა გაცინებს?..
ანა: - არ ვიცი. სასაცილოა... შენ რატომ?
ოლგა: - მე შენზე...
ანა: - აი სულელები...
ოლგა: - მართლაც სულელები...
(პაუზა.)
ანა: - საიდან იცი მაგ ნაგავის შესახებ?
ოლგა: - რომელი ნაგავის?
ანა: - ბოდიაგაზე? შენ რა ბოტანიკოსი ხარ?
ოლგა: - აჰა...
ანა: - **(იცინის)** გამომივიდა ბოტანიკოსი!..
ოლგა: - მერე რა? ცოცხალი ბუნება ყოველთვის მიზიდავდა...
ანა: - ეს შენ კი არ გიზიდავდა, იმას იზიდავდი შენ!... გახსოვს ხიდან როგორ ჩამოგიყვანეთ?
ოლგა: - როდის?..
ანა: - ნუ თუ არ გახსოვს?..
ოლგა: - არა.
ანა: - ხუთიოდე წლის იყავი. ხეზე აცოცდი, უკან კი ვეღარ ჩამოდიოდი. გაეკვებე. კიდიხარ და ღრიალებ. ჩვენ ჩამოსაყვანად მოვირბინეთ, გვინდოდა მეხანძრეები გამოგვეძახა. მამამ გეკითხება, - რატომ აცოცდი, შენ კიდეც -ის თვითონ მოვიდაო, ჩამეჭიდა და არ მიშვებდაო. მაშინ ისე ვიცინოდი, კინალამ თიაქარი გამიჩნდა!..
ოლგა: - მთელი გულით, ესე იგი?
ანა: - მთელი გულით!
ოლგა: - მე კი სიცილის თავი არ მქონდა. **(პაუზა)** ნუ, მე წავედი...
(პაუზა.)
ანა: - წადი...
(პაუზა. ოლგა დგება, მიდის კარისკენ, ჩერდება.)
ოლგა: - ოღონდ მე ისა... ცარიელი ვარ...
ანა: - რა?
ოლგა: - შიშველი...
ანა: - რა ფული არ გაქვს?
ოლგა: - არა...
ანა: - რა იქნა?
ოლგა: - ეშმაკმა უწყის...
ანა: - არ იცი?..
ოლგა: - ღმერთმანი, არა...
ანა: - გქონდა კი?..
ოლგა: - ვინ?
ანა: - ფული?
ოლგა: - კარგა ხანია არ მქონია...
ანა: - გაფრინდნენ, როგორც ჩანს?

ოლგა: - გაიპარნენ...

ანა: - გაშლილი ხელები...

ოლგა: - ხაფანგი.

(პაუზა.)

ანა: - კარგი. აიღე მანდ... საფულედან სარკესთან... მგონი იქ რაღაც უნდა იყოს...

აბა?

ოლგა: - რა აბა?

ანა: - არის რამე?..

ოლგა: - არის.

(პაუზა.)

ანა: - მეტი იყიდე... რამდენიმე კილოგრამი...

ოლგა: - რატომ ამდენი?

ანა: - ჩვენ ხომ ორნი ვართ... ჩვენ უკვე ყოველდღე შევხვდებით... და კიდევ

რამდენიმე ცალი ლუდი ჩემთვის!..

ოლგა: - მერე გულმმარვა?

ანა: - ეშმაკსაც წაუღია გულმმარვა, მე თვითონა ვარ ძმარი!..

ოლგა: - ეგ მართალია...

(პაუზა.)

ანა: - მე კი ცოტა ხანს დავწვები... (დივანზე წვება.) ხვალ სამუშაო მაქვს. (პაუზა.)

ოლგა კარს აღებს) მიდიხარ?

(პაუზა.)

ოლგა: - წავედი...

(პაუზა.)

ანა: - აბა, ბედნიერეად...

(პაუზა.)

ოლგა: - დროებით...

(ოლგა რაღაც დროით დგას ზღურბლზე, თითქოს ეშვადობება. მიდის.)

დასასრული

თარგმნილი მაია შენგელიას მიერ.

ანდრეი ვასილევი

რუსი მწერალი, დრამატურგი, მსახიობი და რეჟისორი.

დაიბადა 1960 წელს სვერდლოვსკში.

დაამთავრა რუსეთის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის (ГИТИС)

სამსახიობო და სარეჟისორო ფაკულტეტები.

მოღვაწეობდა ვ. მაიაკოვსკის სახელობის და რუსეთის არმიის თეატრებში.

დგამდა სპექტაკლებს რუსეთსა და ევროპაში.

იბეჭდებოდა ჟურნალებში: „ურალი“, „ზნამია“, „ნოვი კონტინენტი“.

ასწავლიდა სამსახიობო ოსტატობას რუსეთის თეატრალურ ინსტიტუტში (ГИТИС).

გარდაიცვალა 2020 წელს მოსკოვის ოლქში.

მიღებული აქვს შემდეგი ჯილდოები:

1988 წ. თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრემია ივან პრისიპკინის როლის

შესრულებისათვის მუსიკალურ სპექტაკლში „ბაღლინჯო“.

2012 წ. ედინბურგის ფესტივალის კრიტიკოსთა ასოციაციის ხუთი ვარსკვლავი

სპექტაკლისათვის „შიმშილი“ კნუტ ჰამსუნგის რომანის მიხედვით.

2015 წ. პიესების კონკურსის „ლუბივოვკა“ მოკლე სია.

2015 წ. გამარჯვებული რუსეთის დრამატურგიულ ფესტივალ „საავტორო სცენის“.